მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის (გოჭკადილი) მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ.აბაშის კანიონის დამთვალიერებელთა ცენტრისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #3

ქ. თბილისი

09.07.2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე — **ირაკლი გელაშვილი**

კომისიის წევრები — ვახტანგ ტუკვაძე, თომა დეკანოიძე, გაიოზ მენთეშაშვილი.

კომისიის აპარატის წევრები — გიგა მენაბდიშვილი, დავით კოპალიანი.

სხდომას არ ესწრებოდა:

კომისიის წევრი — ზაზა გაგნიძე.

დღის წესრიგი:

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის (გოჭკადილი) მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ.აბაშის კანიონის დამთვალიერებელთა ცენტრისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით კონკურსში (განცხადების უნიკალური N1247) კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული საკონკურსო წინადადებების განხილვა.

მოისმინეს:

კომისიის აპარატის წევრის, გიგა მენაბდიშვილის გამოსვლა, რომელმაც კომისიის სხდომის დამსწრე წევრებს მოახსენა, რომ კონკურსანტმა, **შპს „Live Design"-მა** და **შპს „სახაზავმა"** სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"-ს მიერ 2014 წლის 16 მაისს გამოცხადებულ კონკურსში წარმოადგინეს საკონკურსო წინადადებები.

განიხილეს:

შპს „Live Design"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის დაწესებული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (რომელიც შედგენილია „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 გრძანების მე-6 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.) და საკონკურსო წინადადება, რომლის ღირებულება, 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი არ აღემატება კონკურსის სავარაუდო ღირებულებას.

ამასთანავე, საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დანართი და ერთიანი პრეზენტაცია (კონცეფცია, განმარტებითი ბარათი და რენდერები) რეკვიზიტები, საკონკურსო წინადადების ფასი, მომსახურების ხარჯთაღრიცხვა და 2014 წლის 20 ივნისის #1395 წერილით მოთხოვნილი დაზუსტებული ინფორმაცია (ობიექტების მშენებლობის და მონტაჟის წარმართვის ტექნოლოგიის აღწერა და პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ ინფორმაცია პორტფოლიოს სახით), რომელიც კონკურსანტმა წარმოადგინა 2014 წლის 25 ივნისს, შესაბამისობაშია საკონკურსო მოთხოვნებთან.

შპს „სახაზავი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის დაწესებული საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი (რომელიც შედგენილია „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 გრძანების მე-6 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.) და საკონკურსო წინადადება, რომლის ღირებულება, 54200 (ორმოცდათოთხმეტი ათას ორასი) ლარი არ აღემატება კონკურსის სავარაუდო ღირებულებას.

ამასთანავე, საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დანართი და ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ (წარმოდგენილი პორტფოლიოს სახით), ერთიანი პრეზენტაცია (კონცეფცია, განმარტებითი ბარათი და რენდერები) რეკვიზიტები, საკონკურსო წინადადების ფასი, მომსახურების ხარჯთაღრიცხვა და 2014 წლის 20 ივნისის #1394 წერილით მოთხოვნილი დაზუსტებული ინფორმაცია (ობიექტების მშენებლობის და მონტაჟის წარმართვის ტექნოლოგიის აღწერა), რომელიც კონკურსანტმა წარმოადგინა 2014 წლის 25 ივნისს, შესაბამისობაშია საკონკურსო მოთხოვნებთან.

კომისიამ იმსჯელა კონკურსანტების **შპს „სახაზავი"-ს** და **შპს „Live Design"-ის** მიერ წარმოდგენილი კონცეფციისა და მისი შინაარსის შესახებ. კომისიის წევრებმა, საკონკურსო პირობების შესაბამისად, 10 ქულიანი სისტემით შეაფასეს წარმოდგენილი არქიტექტურული კონცეფცია და თითოეულმა წევრმა დააფიქსირა შესაბამისი ქულა (იხილეთ ოქმის დანართი).

კომისიამ დაადგინა:

1. **შპს „სახაზავი"-ს** და **შპს „Live Design"-ის** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები შეესაბამება საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
2. „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე–4 მუხლის მე-3 პუნქტისა და შემსყიდველი ორგანიზაციის საკონკურსო პირობების შესაბამისად, კომისიის წევრთა შეფასების მიხედვით, კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **შპს „სახაზავი"**, რომელთანაც არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.
3. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს **შპს „სახაზავ"-ს.**

კომისიის თავმჯდომარე /ირაკლი გელაშვილი/

კომისიის წევრი /ვახტანგ ტუკვაძე/

კომისიის წევრი /თომა დეკანოიძე/

კომისიის წევრი /გაიოზ მენთეშაშვილი/

კომისიის აპარატის წევრები

/გიგა მენაბდიშვილი/

/დავით კოპალიანი/

შეფასების ცხრილი

კონკურსის მეშვეობით მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის (გოჭკადილი) მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ.აბაშის კანიონის დამთვალიერებელთა ცენტრისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

#	კონკურსანტი	შეფასება ქულებში				ჯამი	გამარჯვებული	შენიშვნა
1	შპს "live design"	არქიტექტურული დიზაინი	0,5	5,5	2,75	5,55	შპს "სახაზავი"	
		ფასი	0,3	6	1,80			
		გამოცდილება	0,2	5	1,00			
2	შპს "სახაზავი"	არქიტექტურული დიზაინი	0,5	7	3,50	6,20		
		ფასი	0,3	5	1,50			
		გამოცდილება	0,2	6	1,20			

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

ირაკლი გელაშვილი

შეფასების ცხრილი

კონკურსის მეშვეობით მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის (გოჭკადილი) მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ.აბაშის კანიონის დამთვალიერებელთა ცენტრისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

#	კონკურსანტი	შეფასება ქულებში				ჯამი	გამარჯვებული	შენიშვნა
1	შპს "live design"	არქიტექტურული დიზაინი	0,5	6	3,00	5,80	შპს "სახაზავი"	
		ფასი	0,3	6	1,80			
		გამოცდილება	0,2	5	1,00			
2	შპს "სახაზავი"	არქიტექტურული დიზაინი	0,5	7	3,50	6,20		
		ფასი	0,3	5	1,50			
		გამოცდილება	0,2	6	1,20			

საკონკურსო კომისიის წევრი ვახტანგ ტუკვაძე

შეფასების ცხრილი

კონკურსის მეშვეობით მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის (გოჭკადილი) მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ.აბაშის კანიონის დამთვალიერებელთა ცენტრისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

#	კონკურსანტი	შეფასება ქულებში				ჯამი	გამარჯვებული	შენიშვნა
1	შპს "live design"	არქიტექტურული დიზაინი	0,5	6	3,00	6,45	შპს "სახაზავი"	
		ფასი	0,3	6,5	1,95			
		გამოცდილება	0,2	7,5	1,50			
2	შპს "სახაზავი"	არქიტექტურული დიზაინი	0,5	7	3,50	6,50		
		ფასი	0,3	6	1,80			
		გამოცდილება	0,2	6	1,20			

საკონკურსო კომისიის წევრი გაიოზ მენთეშაშვილი

შეფასების ცხრილი

კონკურსის მეშვეობით მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის (გოჭკადილი) მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ.აბაშის კანიონის დამთვალიერებელთა ცენტრისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

#	კონკურსანტი	შეფასება ქულებში				ჯამი	გამარჯვებული	შენიშვნა
1	შპს "live design"	არქიტექტურული დიზაინი	0,5	6	3,00	5,30		
		ფასი	0,3	5	1,50			
		გამოცდილება	0,2	4	0,80			
2	შპს "სახაზავი"	არქიტექტურული დიზაინი	0,5	7	3,50	5,70		
		ფასი	0,3	4	1,20			
		გამოცდილება	0,2	5	1,00			

საკონკურსო კომისიის წევრი — თომა დეკანოიძე